



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 16069-02
29/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის 88-
ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.


დანართი: 6 ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ჭანტურია

საკრებულოს წევრი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გიორგი ჭანტურია

საანგარიშო პერიოდი: 01.11.2018 – 01.11.2019

თანამდებობა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი;
2. ახალგაზრდული საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
3. ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს წევრი;

კომისი(ებ)ის დასახელება:

1. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი;
2. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი;

დროებითი სამუშაო ჯგუფები:

1. ახალგაზრდული საკითხების შემსწავლელი

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

2. სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

3. რუსთავის განვითარების, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე);

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 25 სხდომა;

❖ **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

74 დადგენილება;

162 განკარგულება;

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

ა) კომისიები:

▪ **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია:**

ჩატარდა - 19 სხდომა;

დასწრება - 15 სხდომა;

▪ **სოციალურ საკითხთა**

კომისია

ჩატარდა - 9 სხდომა;

დასწრება - 7 სხდომა;

ბ) ფრაქცია „ქართული

ოცნება“ ჩატარდა - 1

სხდომა; დასწრება - 1

სხდომა;

გ) დროებითი სამუშაო ჯგუფები:

- ახალგაზრდული საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 1 სხდომა;

დასწრება - 1 სხდომა;

- სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 1 სხდომა;

დასწრება - 1 სხდომა;

- რუსთავის განვითარების, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა- 4 სხდომა;

დასწრება - 2 სხდომა;

❖ ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:

1. „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დროებითი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის“ წევრი;
2. „უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამის სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის“ წევრი;
3. „ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების გაწევის მიზნით შექმნილი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის“ წევრი.

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი

საკითხები:

- ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცება;
- გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;
- დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთლებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები.

❖ საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საკრებულოს „ახალგაზრდული საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ მიზანია ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა, ქალაქში სამოქალაქო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში მათი ჩართულობა, აგრეთვე ახალგაზრდობასა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ურთიერთანამშრომლობის გაზრდა.

საანგარიშო პერიოდში ეტაპობრივად ვხვდებოდი რუსთავის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს. შეხვედრების მიზანს მოზარდების სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის მიღწევა, ახალგაზრდული იდეებისა და იმ ინიციატივების გამოვლენა წარმოადგენდა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქში ახალგაზრდული ცხოვრების გააქტიურებასა და ამ მიზნით, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.

საკრებულოს „ახალგაზრდული საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ ფარგლებში ვიმსჯელებ ქალაქ რუსთავში ველოცნობადობის ამაღლების შესახებ, რაც უნდა გახდეს ქალაქში ველოინფრასტრუქტურის განვითარებისა საწინდარი. ჯგუფის წევრები ერთიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე შეთანხმდნენ, რომელიც ადგილობრივ და მუნიციპალურ დონეზე არსებული გამოწვევების თანმიმდევრული და ეტაპობრივი გადაწყვეტით ველოტრანსპორტის განვითარებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

საკრებულოს „რუსთავის განვითარების, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ ფარგლებში განვიხილეთ ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა პოლონეთში, კერძოდ ქალაქ გდინიაში. შეხვედრის ფარგლებში შევიმუშავეთ ის კრიტერიუმები, რის მიხედვითაც არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით შეირჩა 5 ახალგაზრდა (15 დან 18 წლამდე), რომლებიც გაემგზავრნენ პოლონეთში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. პროგრამა ემსახურებოდა ახალგაზრდებში ცნობადობის ამაღლებას ბიზნესის კუთხით.

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტი“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

მე, როგორც საკრებულოს წევრი და ასევე „ახალგაზრდულ საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ ხელმძღვანელი, არ დავზოგავ ძალისხმევას ახალგაზრდებთან ერთად განვახორციელო არაერთი საინტერესო პროექტი.